№ 211 12 ღვინობისთვე, პარასკევი 1866—1879 12 ღვინობისთვე, პარასკევი № 211

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდის ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცრით — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სოლოლაკის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—სამი მანეთი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 9 ოქტომბერს. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება გამოვიდა, რომ იმ ჯარებს და აფიცრებს, რომელნიც 1880 წლის 1 იანვრამდინ გაატარებენ ამუ-დარიისა და ფერგანის მაზრაში, სამსახურის დრო პენსიისათვის ერთი-ორად ჩაეთვალოსთ. ღენერალ-ადიუტანტ ტოტლებენს მიენიჭა გრაფის ღირსება.

სტამბოლი, 8 ოქტომბერს. ინგლისმა გამოუცხადა ოსმალეთის მმართებლობას, რომ ის მიიღებს თავდებობას ოსმალეთის სესხში, თუ ახალი სამინისტრო ახლავე შეუდგება რეფორმების შემოღებას ოსმალეთში და ინგლისის წარმომადგენლებსაც მიეცემა უფლება, რომ ამ რეფორმების სისრულეში მოყვანის დროს ჰქონდესთ ზედამხედველობა.

სტამბოლი, 9 ოქტომბერს. ჩერნოგორიის ელჩმა გამოუცხადა ოსმალეთს, რომ თუ ოსმალოს მმართებლობა თავის ნებით არ დაუთმობს გუსინნია პლავნის, ამ შემთხვევაში ჩერნოგორია იძულებული იქნება 1,500 კაცით თვითონ დაიჭიროს ეს მაზრა.

პეტერბურღის ბირჟა, 9 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	94-- „
მეორე — — — —	93—12
მესამესი — — —	93—25
მეოთხესი — — —	93—22
აღმოსავლეთის პირ. —	90—87
აღმოსავლეთის მეორე —	90—37
აღმოსავლეთის, მესამე —	„— „
ოქრო, ½ იმპერიალი —	7—72
გირაოს ფურცელი —	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან. კაპ.
პირველი სესხის— —	225— „
მეორე სესხის — —	221— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—59	პენსი
გამბურღი — —	„ — „	ცენტი
პარიჟი — — —	269—25	სანტიმი
ვენა — — —	218— „	პფენიგი
კავკასიის კერასინი — — —		

საქართველო

დღიური

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქიდამ—მონთობანიდამ, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველ ფრანგების პატრებს სტამბა აქვთ გამართული, ორი ქართული წიგნი: „მოკლე ქართული გრამმატიკა“ დამატებით გრამმატიკული და ლოღიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი სასოფლო შკოლების ყრმათათვის და „მოკლე გეოგრაფია“

ფელეტონი

თხოვნა ს—დმი.

სული მიწუხს, გული მიდუღს,
ვეთხოვები ჩემს საყვარელს,
თვალის ვარსკვლავს, გულის მიჯნურს
და მივდივარ უცხო მხარეს!

—

მიჯნურო, გტოვებ, მივდივარ!
მაგრამ არ მინდა მოგშორდე,
მე შენგნით—შენთვის შევქნილვარ,
შენს ხელში მინდა, რომ მოვკვდე!..

—

მაშ, მიჯნურო მშვენიერო,
გთხოვ, რომ შენთან არ გამყარო,
ჩამიხუტო მაგრათ გულში
და ზედ მიწაც მომაყარო.

—

დღე, შენი ყმა მორჩილი
შენს კუთხეში დაიმარხო,
მუნ მტერთაგან დასრესილი
ტურფა ვარდათ გარდვისახო,

—

რომ იმ ვარდმა ჩემს მეგობრებს
მოაგონოს ჩემი თავი,
მათ საფლავზე მეგობრისა
ცრემლი ჰღვარონ გულ-საწვავი;

—

მეგობრების ცრემლთა გუბემ
აღაჰყვაოს იგი ვარდი,
როგორც ღედისა ძუძ-უბემ,
აყვავოს შვილი-ნარდი.

—

და როს მამულის მხნე შვილმა
ხელში ხმლითა მტერი ლახვროს,
მაშინ ვარდმა, ჩემმა-ჩრდილმა,
იმისი თავი შეამკოს!.

—

სული მიწუხს, გული მიდუღს,
ვეთხოვები ჩემს საყვარელს
სულის ვარსკვლავს, გულის მიჯნურს
და მივდივარ შორს, შორს მხარეს!

კინიკინი.

15 იანვარი 1879 წ. ქუთაისს.

ალავერდობა კახეთში

თოთხმეტს სექტემბერს მოდის დღესასწაული წმიდა მთავარ-მოწამის გიორგისა, რომელსაც მთელი კახეთის ხალხი დღესასწაულობს ალავერდის ეკკლესიაში.

მოვიყვან აქ ზოგიერთ ცნობებს, რომლებიც ზოგი ამ მონასტრის ისტორიულს წინა დროებს შეეხებიან და ზოგსაც მოვიყვან ახლანდელის ხალხის ყოფა-ცხოვრებიდამ, მათ ხასიათებიდამ და მასშიც საკმარისათ დაიხატება ისა, თუ როდის აშენდა ეს ეკკლესია ანუ როდის დაიქცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის მეფეებისთვის.

ალავერდის ეკკლესიის საძირკვლის ჩაყრა ეკუთვნის წმიდა მამა იოსებ ალავერდელს, რომელიც სცხოვრებდა მეექვსე საუკუნეში და იყო ერთი იმ ათთორმეტთ მამათაგანი, რომლებიც სირიიდამ შემოვიდნენ საქართველოში და ქადაგებდნენ აქა. თითო მათგანმა გამოირჩიეს თავ-თავიანთ საკუთარი ადგი-

ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი სასოფლო შკოლებისათვის. ორივე დაბეჭდილია ქ. მონთობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში.

ჩვენ არ გარდაგვიხედავს ჯერ კარგათ ეს სახელმძღვანელო წიგნები; მაგრამ, როგორც ერთის თვალით გადავლებით ეტყობა, ეს წიგნები იმ ფრანცუზულ წიგნების და-გვარად არიან შედგენილნი, როგორც საფრანგეთის სახალხო შკოლების სახელმძღვანელოები.

გრამმატიკა პატარა წიგნია, 160 ფურცელი; ფასი შვიდი შაური აქვს დანიშნული. გეოგრაფია კი სულ 80 ფურცელს შეიცავ', თითო ეგზემპლიარის ფასი არის ექვსი შაური. ჩვენ არ ვიცით—ისყიდება ეს წიგნები ჩვენში თუ არა. თუ არ ისყიდება, ძალიან სამწუხაროა, ამიტომ რომ რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდესთ ამ სახელმძღვანელოებს, მაინც საჭიროა ახლა ჩვენთვის, რადგან არც გრამმატიკისა და არც გეოგრაფიის ხეირიანი სახელმძღვანელოები არ მოიპოებიან ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში.

*** გაზეთს „კავკაზს“ გაუგონია, ვითომც ჩვენი ქალაქის გამგეობას განზრახვა ჰქონდეს მტკვრის თევზზედ ხარჯი დანიშნოს. იქნება ეს მართალი იყოს, მაგრამ ქალაქის გამგეობას ქალაქის რჩევისათვის ამ საგნის შესახებ ჯერ არაფერი წინადადება არ წარუდგენია და მოგეხსენებათ, თუ არ ქალაქის რჩევის ნება-ყოფლობითა და გარდაწყვეტილებით, ისე გამგეობა ერთ კაპეიკ ხარჯსაც ვერ დააწერს ქალაქის მცხოვრებლებს. და ჩვენ არა გვგონია, რომ ამ უმისოთაც დიდ სიძვირეში რჩევამ მოინდომოს, რომ, სხვათა შორის, მტკვრის ახალი თევზიც გაძვიროს და და დათანხმოს უპრავას ამ მხრით ქალაქის ხაზინის შემატებაზედ.

*** ახალციხის ახალქალაქიდამ გვწერენ, რომ ყოველგვარი ნამუშავარი წელს ჩვენს უეზდში შარშანდელზე უფრო ძვირიაო, რადგან, გვალვის გამო, წელს აქეთკენ ცუდი მოსავალი იყოვო.

ამავე უეზდის სოფელ ძილდიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ამ სოფლის შკოლაში ორმოც-და-ხუთი შაგირდი დაიარებაო, რომელთაგან თორმეტი ქალია და დანარჩენი კი ვაჟები. საუბედურეთ მშობლები თავიანთ შვილებს შემოდგომაზე „გვიან ღვინობისთვის დამლევს ხან გიორგობისთვეშიც გზავნიან შკოლებშიო და გაზაფხულზედ ადრე მიჰყავთ შინაო,—რადგან, როგორც ამბობენ, სოფლის მუშაობისათვის გვეჭირება ჩვენი შვილებიო.

*** ბორიდამ გვწერენ, რომ იმ სტატიის შემდეგ, რომელიც იქაურ უეზდის ცუდ მდგომარეობაზე იყო ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, სამასწავლებლო მთავრობას მოუხდენია რევიზია ხსენებულის სასწავლებლისა.

ჩვენ არ ვიცით ჯერ რა აღმოაჩინა ამ რევიზიამ, არ ვიცით დაამტკიცა იმან, თუ არა, ყველა ის უწესობა, რომელიც ჩვენი გაზეთის კორრესპონდენციაში იყო მოხსენებული. თუ მართლა ფიცხელი და მიუდგომელი რევიზია იყო, ჩვენ დარწმუნებული ვართ ბევრი რამ აღმოჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენში ცოტ-ცოტათი ეჩვევიან ბეჭდვის სიტყვის ყურადღების მიქცევასა.

*** ბორიდამვე გვატყობინებენ, რომ იქაურ ქალაქის რჩევას ამ მოკლე ხანში ექნება სჯა ცეცხლის საქრობ მაშინის გამოწერაზე. დროც არის.

*** დაღესტნის მაზრიდამ ცუდი ამბები მოდის წლევანდელ მოსავალზე. დარუბანდის მაზრიდამ იწერებიან სხვათა შორის, რომ წელს შარშანდელზე ნახევარი მოსავალიც კი არ მოსულიყოს. ამის გამო აქაური ვაჭრებმა აშტრახანიდამ გამოიწერეს პურიო, მაგრამ იქაც ჩვეულებრივზე უფრო ძვირად ისყიდებაო, ჩვეთვერს (შვიდ ნახევარ ფუთს) თუმან და ოერთმეტ მანეთ ნაკლებ არ იძლევიანო. ამის გამო წელს ზამთარს აქაური ღარიბი ხალხი დიდ სიძვირესა და გაჭირებას მოელისო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთიდამ, 3 ოქტომბერს. 24 ივლისს. სოფ. ქაცხში მოვიდა შორაპნის მაზრის უმფროსის თანაშემწე, თ. ერისთავი, რომელმაც საზოგადოების კრება მოახდინა ახალი მამასახლისისა და სუდიების ამორჩევის თაობაზე.

ამ კრებაზე ჩემი ყურადღება ყველაზე უმფრო აქაური საოფლო შკოლის თაობაზე მოლაპარაკებამ მიიქცია. ამისათვის ამ საგანზე გეტყვით ორიოდე სიტყვას.

დიდი ხანი არის, რაც ჩვენს ქაცხში სასოფლო შკოლა დაარსდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შკოლას დიდხანს არ უცოცხლია.

რამოდენიმე პირნი, რომლებთაც ცოტათი მაინც ესმისთ შკოლის სარგებლობა, ცდილობენ, რომ სხვებსაც ჩააგონონ და აიყოლიონ ამ საქმეში, მაგრამ რადგანაც ამათი რიცხვი შედარებით ძალიან ცოტა არის, ამისათვის ამათი მეცადინეობა უნაყოფოდ რჩება.

— ამათ განიზრახეს ახლა, რომ ამ საზოგადო კრებით ესარგებლნათ და მთელ საზოგადოებასთან მოელაპარაკნათ შკოლის გახნის თაობაზე. აქ საჭირო იყო თ. ერისთავის ნებართვა და

ლები, დასახლდნენ და ააშენეს ეკლესიები.

ეს ალაევერდიც ერთი იმ ეკლესიათაგანია, რომლებიც მეექვსე საუკუნეში აშენდნენ; მაგრამ ამისი გაშენება და სრულიად გაფართოება მიეწერება ქახეთის მეფე ლეონს, რომელმაც იერუსალიმსაც განაახლა ჯვარი მონასტერი, აიღო დიდის საფასით მაცხოვრის საფლავი და დაიხსნა თურქთ-მაჰმადიანებისაგანა.

ლეონმა მოიტანა იერუსალიმიდამ წმიდა კვერთხი, რომელიც უბოძა მას მეორე ბერმანოზ იერუსალიმის პატრიარხმა ქრისტეს საფლავის განახლებისათვის და მან ეს კვერთხი შენობის დროს შიგ ჩაატანა და აგრეთვე წმიდა ჯვარი.

ეკლესიის გუმბათი ჩამოიქცა პირველად მიწის ძვრისაგან 1530 წელსა და შემდეგ განაახლა მეფე ლეონმა. შემდეგ ჩამოიქცა კიდევ იმ ჟამსა, როდესაც თეიმურაზ მეორე მეფის მეუღლე ქახეთს იმყოფებოდა; ეს ჩამოქცევა დედოფალმა შორი-ახლოდამ თავის თვალით იხილა და მაშინათვე საჩქაროთ შეაგროვა მრავალნი გამოჩენილნი პირნი. იმის თაოსნობით მალე შეუდგნენ აშენებას და თვით დედოფალი თამარიც შველოდა ქვების გამოტანას.

ალაევერდის ეკლესია მდებარებს თელავის მოშორებით თექვსმეტი ვერსისა თუშ-ფშავ-ხევსურების მხარეზედ.

ეს ეკლესია იყო საეპისკოპოზოდ ვიდრე საქართველო სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროდ განიყოფებოდა და როდესაც განიყო, მაშინ ქახეთის მეფემა საძეფო პალატაც აქ დანიშნეს.

ალაევერდის ეკლესიას ისეთი შავი დღეები და უბედურებანი არას დროს არ სწვევია, რაც ეწვია მეთექვსმეტე საუკუნეში: ჯერ გუმბათი ჩამოიქცა და შემდეგ რომ შაჰ-აბაზი დაეცა ქახეთს და ას ოცი ათასი ქართველნი გადაასახლა, მაშინ თუმცა მის დაქცევით არაფერი დაუკლიათ, შიგ კი მაინც ბევრი დააკლო და მხატვრობა სულ გააფუჭებინა, ხატებიც თავის ხელით გაიტანა ზედ ფურთხებით და შეურაცყოფით. აქ იყო მაშინ მრავალი ხელთ-ნაწერი წიგნები დარჩენილი პაველ ალაევერდის ეპისკოპოზისაგან, რომელიც იქმნა მოკლული ქოსტანდინე მეფისაგან, და აგრეთვე იოანე ალაევერდოვისაგან მოღვაწეობით შეგროვილი წიგნები, რომელიც ლეკებმა საკურთხეველში დაკლეს. ამ ეკლესიას არ მოჰკლებია პატივი ვიდრე ძეთევან დედოფალი ქახეთში იმყოფებოდა. ის ყოველთვის ალაევერდის ეკლესიას მოწიწებით თაყვანს სცემდა.

ძეთევან დედოფლის ქმარმა დავით მეფემ თავის მამა, ალექსანდრე, ჩამოაგდო ტახტიდამ და გამეფედა თვითონ. ამ ალექსანდრეს ჰყვანდა კიდევ სამი სხვა ვაჟი: ირაკლი, რომელიც სტამბოლში სულთანთან იყო წასული მტეროობით მეორე — ქოსტანდინე, რომელიც სპარსეთში იყო გაგზავნილი ყეენთან მძევლად, და მესამე—ბიორგი, სნეული, რომელიც შინ იყო. დავითმ' რომ მამა ჩამა ჩამოაგდო ტახტიდან

შემწეობა ამ საქმეში, რადგანაც სოფლის ხალხზედ ყოველთვის უფრო გავლენა აქვთ ამისთანა პირებს. ამისათვის შკოლის გახსნის მოსურნე პირებმა ჯერ მიმართეს თ. ერისთავს და სთხოვეს შემწეობა.

უფ. ერისთავს ამ თხოვნაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ მთხოვნელებს ურჩია, რომ იმათ ჯერ ვინმე გავლენიანი პირები გამოერჩიათ და ხალხისათვის გაეგზავნათ ამ საქმეზე მოსალაპარაკებლათ. მაშინვე ამოირჩიეს ორი კაცი და გაგზავნეს ხალხთან. ეს ორი კაცი გავიდენ ხალხთან, მაგრამ, ახსენეს თუ არა შკოლის გახსნა, ხალხმა ერთ-ხმათ შესძახა: არ გვინდა შკოლა, არ გვინდა! ადრეც გვქონდა ჩვენ შკოლა, მაგრამ იმას ჩვენთვის არაფერი სარგებლობა მოუტანია, რაც ტყუილა ჩვენი შვილები არ გაგვიცდა და გადასახადით არ გაგვიტყავეთო!“

ბევრი ეცადენ მოციქულები, რომ ჩაეგონებიათ, მაგრამ ხალხი ისევ თავისას იძახდა: არ გვინდა შკოლაო. ბოლოს, რომ ვერაფერი გაარიგეს მოციქულებმა, თავი დაანებეს და „არგვინდათი“ შავიდენ თავის გამგზანებთან. ცოტა ხნის შემდეგ უფ. ერისთავი გამოვიდა კანცელარიის ბალკონზედ და მთელი საზოგადოება მიიხმო თავისთან. ამანაც ხალხს განუმარტა ისევ ის, რაც წინეთ მოციქულებმა უთხრეს, მაგრამ აქაც ერთ-ხმად უარი განაცხადეს, აქაც ხალხი მიზეზათ იმას ამბობდა, რომ შკოლა ჩვენთვის წინეთ უსარგებლო იყო და ახლაც ისე იქნებაო. უფ. ერისთავი და შკოლის გახსნის მომხრეები არწმუნებდნენ, ახლა ისე აღარ იქნება, როგორც ადრე ყოფილა, ახლა მთავრობაც ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და ისეთს უხეირო მასწავლებლებს აღარ დაგვინიშნავს, როგორც ადრე იყოვო, მაგრამ, რაკი ერთხელ დაშინებულია ეს ჩვენი საზოგადოება, იმისი დაჯერება ახლა ძალიან ძნელი არის. მთავრობა წინეთაც აგრე გვპირდებოდა, კარგი მასწავლებელი გეყოლებათო, მაგრამ საქმით კი ცუდი გამოვიდა და ახლაც რომ დაგეთანხმოთ, ისე აასრულებთ თქვენ პირობას, როგორც მაშინ და ამისთვის ისე გვირჩევნია თავი დავანებოთ მაგ საქმეს, რომ ხელ-მეორედ გადასახადი არ დავიდვათ და არც ჩვენი შვილები გავაცდინოთ უბრალოდო. ერთის სიტყვით, შკოლის გახსნაზე გადაწყვეტილ უარს ვაცხადებთო.

ასე გაათავა ამ კრებამ ჩვენი სასოფლო შკოლის საქმე.

რა მიზეზი იყო, რომ ხალხმა ასე გადაწყვეტილი უარი განაცხადა შკოლის გახსნისა? ის, რომ იმან თავისას უგუნურებით ეს საქმე ვერ იცნა კეთილ საქმედ, თუ სხვა რამე?

არა. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ აქ ხალხის უკუნურება არ ყოფილა მიზეზი; ჩვენმა საზოგადოებამ ახლა კი არა, დიდი ხანია იგრძნო, რომ იმისათვის შკოლა დიდი სასარგებლო რამე იქნებოდა. ამისათვის იმან თითქმის მამასახლისობის დადგენისათანავე, მღვდლის სპირიდონ მოდებაძის მოთავობით, მოაწერა ხელი შკოლის დადგენის განჩინებას. ის პირველ შკოლაში ნიადაგ დაიარებოდა არა-ნაკლებ ოც-და-ხუთის შაგირდისა და ხანდის-ხან მეტიც. სანამდისაც მღვდლის ხელში იყო ჩვენი შკოლა, მანამ იმისი საქმე, თუმც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ძალიან კარგათ ყოფილიყოს, მაგრამ, როგორც ახალ დაწყებული საქმე, გვარიანად მიდიოდა; წერა-კითხვა მაინც ისწავლეს ჩვენმა შვილებმა.

ამ შკოლის გახსნა ჩვენში ისე მოხდა, რომ მთავრობას არც კი გაუგია, ეს იყო მხოლოდ ხალხის სურვილი და მღვდლის სპირიდონ მოდებაძის მოთაობა. როდესაც ამ საქმემ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების ინსპექტორის უფ. ტროეს ყურამდის მიაღწია, იმან მის მაგიერ, რომ ხალხს და მღვდელს დახმარებოდა, მღვდელს გაუჯავრდა: შენ ეგ საქმე უჩემოთ როგორ გაბედეო და აღუკრძალა იმას მასწავლებლობა.

მღვდელმა თავი დაანება შკოლას და იმის გასვლის შემდეგ ჩვენი შკოლაც დაუქმდა უმასწავლებლობისა გამო. ხალხმა თავისით ველარ იშოვნა სხვა მასწავლებელი და არც უფ. ტროემ შეიწუხა იმდენათ თავი, რომ ერთი მასწავლებელი გამოეგზავნა და ერთხელვე დაწყობილი საქმე აღარ მოესპო.

ასე გაუქმებული დარჩა ჩვენი შკოლა რამოდენიმე წელიწადი. რამდენიმე წლის შემდეგ შორაპნის მაზრის უფროსმა უფ. ეფიმოვსკიმ თითქმის სურვილ დაკარგულ ხალხს გამოუცხადა, რომ ისევ შკოლა უნდა გახსნათო. ამ განცხადებაზე ხალხს ბევრი უარი აღარ უთქვამს, რადგანაც უფ. ეფიმოვსკი იმათ კარგ მასწავლებელს ჰპირდებოდათ, ყველანი თანახმა შეიქნენ შკოლის გახსნაზე.

დიდ ხანს არ გაუარია ამის შემდეგ, რომ ჩვენ სოფელში მოვიდა ე. დოლონაძე, რომელიც უფ. ტროეს წარმოედგინა მასწავლებლათ. საზოგადოება გაურიგდა იმას სამი წლის ვადით, წელიწადში 250 მანეთად. დოლონაძე შეუდგა კლასის საქმეს; რაც კი შკოლისათვის საჭირო იყო, არაფერი აღარ დახვედრია, ყველაფერი საძებარი ჰქონდა შკოლისათვის: სახლი, სტოლები, წიგნები და სხვა შკოლისათვის საჭირო მასალები, რადგანაც წინანდელი შკოლის მოწყობილობა დროთა ბრუნვას გაექრო; მერე, როდესაც ამ მასალებს, ავათ იყო თუ კარგათ მოუყარა თავი, შაგირდები უნდა შაეკრიბა. სანამდის სმათ მოასწრობდა დოლონაძე, თითქმის ერთმა წელმა განვლო, მეორე წელიწადში კი ბავშების სწავლება დაიწყო.

(დასასრული შემდეგში)

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

თფილისის სომხურ გაზეთს „მშაკში“

მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ დავითი გარდაიცვალა და ტახტი დარჩა ისევ ალექსანდრე მეფესა. დავითს დარჩა ერთი შვილი—თეიმურაზი, რომელიც მისმა პაპამ ყეინს გაუგზავნა მძევლად და ქეთევან დედოფალიც მუხრანს წავიდა და იქ გლოვობდა ქმარსა და შვილსა.

ალექსანდრემ რუსეთს დაუწყო დაახლოვება და ამ დროს ყეინმა სპარსეთიდამ გამოგზავნა კოსტანტინე გამაჰმადიანებული, რომელმაც ქალაქ გრემს მიგებებს ჟამს მოკლა მამა თვისი ალექსანდრე, ძმა თვისი გიორგი და ალავერდის ეპისკოპოზი პავლე. ამ დროს ქეთევან დედოფალიც კახეთს იმყოფებოდა, და რძალსაც წერილით შეატყობინა მაზლმა, რომ ცოლათ უნდა შეგირთოვო; მაგრამ კრძალული ქეთევანი წინაამღდეგი გახდა ამისი. შემდეგ ქეთევანს შეფიცეს კახელებმა ერთგულებაზე, დაეცნენ კოსტანტინეს და ალაზნის პირზე მოკლეს. ამ მოკვლის შემდეგ ქეთევანმა აცნობა ყეინს შვილის თხოვნა და ყეინმაც მალე გამოგზავნა თეიმურაზი საქართველოში, რადგანაც სპარსეთსა და ოსმალეთს შუა ჩხუბი იყო ამტყდარი და ყეინს ამისი ეშინოდა, რომ ქართველებმა არ მიღალატონო. სპარსეთი და ოსმალები შერიგდნენ და შემდეგ კი ყეინმა დაუწყო მიზეზის ძებნა, რომ საქართველოს დასცემიყო და ერთ ჟამის საქართველოს მოღალატე გიორგი სააკაძე, რომ სპარსეთში გაიქცა და დაბეზღა იქ ქართველთ მეფები, მაშინ კი დაიძრა ყეინი და დაეცა საქართველოსა. ეს დაცემა მისგან მეორეთ იყო და მას მიეგება გზაში ქეთევან დედოფალი თავის ერთი შვილის-შვილით, რომელმაც ცხარის ცრემლით შესტირა, რომ ნუ აოხრებ საქართველოსაო. ყეინმა შეისმინა ვედრება, გაბრუნდა სპარსეთში და წაიყვანა თან ქეთევან დედოფალი თავის შვილის-შვილით; შემდეგ მეორე შვილის-შვილიც მოსთხოვა ლევანი და ისიც იქ ჩაიყვანინა. ქეთევან დედოფალი დაატყვევეს ქალაქ სირაზში, სადაც წვალებით აღსრულდა კიდეც, რადგანაც სარწმუნოება არ გამოიცვალა და არ მიეთხოვა ყეინს. იმას თავზე გახურებული ზედადგარი დაადგეს და ხორციც დასხიპეს. ამის ნაწილები იქ მყოფთ ფრანგის პატრებმა წამოიღეს საქართველოში და მეფე თეიმურაზს მოართვეს.

(გაგრძელება)

დაბეჭდილია არზრუმიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი იწერება, რომ არზრუმის სომხებსა და მაჰმადიანებს შუა დიდი განხეთქილება არისო და ამ დღეებში საქმე იქამდინ მივიდა, რომ ეს ორი ხალხი დაიარაღებული შეეტაკნენ ერთმანეთს და რამდენიმე კაცი დაიჭრა და მოკვდაო. ამ შეტაკებაში არზრუმის ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებ სომხებმაც მიიღეს მონაწილეობაო. ამავე გაზეთის სიტყვით, თვით სტამბოლიდამ მოდიან დაიარაღებული სომხები ანატოლიაში თავიანთ თანამემამულეების დასახმარებლად. ეს გაზეთი ამბობს კიდევ, რომ სტამბოლის სომხის პატრიარქი ნერსესი ისეთსავე უფლებებსა და რეფორმებს თხოულობს ოსმალეთის სომხეთისათვის, როგორიც ოსმალეთის მთავრობამ აღმოსავლეთ რუმელიას მიანიჭაო.

განცხადებანი

ყველა წიგნების მაღაზიებში თფილისში და ქუთაისში

ისყიდება

თამარ ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა

გადმოკეთებული ა. მესხისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დუქნების პატრონებს, რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დუქნებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

(3—2)

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხესინოვის სახლებში, ივანე **კურწოვის მაღაზიაში ისყიდება** ნამდვილი, თეთრი

წმინდა (თაფლის) სანთელი

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისშიაც,** სიონის ულიცაზედ, ონანოვის ქარვასლაში.

(10—10)

თფილისის ქალაქის თავისაგან

თფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე ღვინობისთვის 9-ს თფილისში მოვა უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებული სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პოდკომისია დასახედავად ფოთი-თფილისის რკინის გზისა და მისაღებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს; აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნთაც. ამის გამო ქალაქის თავი ვალად რაცხს შეატყობინოს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთაც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოდკომისიისათვის, რომელიმე მიზეზის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში (უპრავაში), რომელიც იმათ თავის დროზე თვითონ გარდასცემს ხსენებულ პოდკომისიას.

(3—3)

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. კეკელიასთან შკოლაში,

ო ზ უ რ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,

გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. ა. გალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 9 ოქტომბ.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი . .	2	20
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თ.რაქამისა ფუთი .	3	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მ.იდ., წინამძღვაროვ. ხახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და გარალევიჩი—შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—ვენერიულის, და კანისა; გაბოვი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; გაგაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ყურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.